

**Manana Kajaia**

მანანა ქაჯაია

*Georgian Technical University*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **One Aspect from Niko Nikoladze's Journalism**

### **ერთი ასპექტი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკიდან**

The article is about the publicism of the great thinker of the 19<sup>th</sup> century, Niko Nikoladze.

The specificity of his attitude towards literary criticism in general is of particular importance. In the letter "Criticism and its importance in literature" Niko Nikoladze talks to the reader about the purpose of criticism in the language of journalism and emphasizes that if the writer's call is to "correctly and intelligently express people's life, character, morals, needs and thoughts", the purpose of criticism is to keep an eye on writing, to notice its character and compare its meaning.

**Keywords:** criticism, century, journalism, thought

**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკა, საუკუნე, ჟურნალისტიკა, ფიქრი

### **შესავალი**

XIX საუკუნეში კრიტიკა სიტყვაკაზმული მწერლობის სათავედ ითვლებოდა.

ლიტერატურული კრიტიკა ნიკო ნიკოლაძის მრავალფეროვანი პუბლიცისტური მოღვაწეობის ერთი ყველაზე მთავარი უბანია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში იგი თეორიულად ასაბუთებდა კრიტიკოსის დიდ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მისი ნააზრევებიდან, პირველყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს წერილი „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ (ნიკოლაძე, 1960, გვ. 411).

ნიკო ნიკოლაძე, მიუხედავად მისი დამსახურებებისა, შეიძლება ითქვას, რომ სადღესოდ მაინც არ არის სათანადოდ წარმოჩენილი, არადა, მათ შორის არსებულ ობიექტურ და სუბიექტურ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ნიკო ნიკოლაძეს თავად ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით უწევდა ანგარიშს, რადგან იგი ისეთ კაცად მიაჩნდა, „რომელთან ერთად უდელში შებმა სახარბიელოა“ (ჭავჭავაძე, 1961, გვ. 45).

მართალია, ნიკო ნიკოლაძის პიროვნებას არ სჭირდება ჩვენ მიერ განსაკუთრებული შემკობა, მაგრამ, ალბათ, მართებული იქნება, თუ გავიხსენებთ გერონტი ქიქოძის მოსწრებულ და ლაკონიურ შეფასებას: „ნიკო ნიკოლაძე უდოგმატო კაცი იყო, ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის“ (ქიქოძე, 1963, გვ. 184).

მეტად საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის მიმართ.

ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი წერეთელს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ ნიკო ნიკოლაძის და, ოლიმპიადა, გიორგი წერეთლის ცოლი იყო.

ნიკოლაძეებისა და წერეთლების ოჯახები განუყრელად ცხოვრობდნენ. ამ სიახლოვესა და სიყვარულს არ შეუშლია ხელი ნიკო ნიკოლაძისათვის, რომ გულდია აზრი გამოეთქვა გიორგი წერეთლის მოთხოვნაზე „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, ეთქვა: „რაც მოეწონა, მომწონსო ეთქვა და რაც არა, დაეწუნებინა“.

გიორგი წერეთლის კოლორიტული პიროვნება, მისი ესთეტიკური მრწამსი და საკუთრივ პროზა აზრთა სხვადასხვაობის წყარო იყო და არის დღესაც. ფაქტი ერთია, გიორგი წერეთლის სახით XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას მოევიდნა უაღრესად ერუდიტი, ფართო თვალსაწიერის მწერალი, რომელმაც ახალი ცხოვრების გადასხვაფერებულ პირობებში, როცა ჩვენს გარშემო ურთიერთს შეეჯახა რაინდული და ბურჟუაზიულ-მემჩანური იდეალი, თავის ბელეტრისტიკაში რელიეფურად ასახა ეს რთული სოციალური პროცესი. მოწინავე ლიტერატურულმა საზოგადოებამ ცხოველი ინტერესი გამოავლინა მისი პროზის მიმართ.

გიორგი წერეთლის ნაწარმოებებს მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდი ინტერესით ეგებებოდა. ამ ინტერესს ძირითადად რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა, უპირველეს ყოვლისა, მწერლის ნიჭი, ძალიან სადა, უშუალო სტილი და, ამასთან ერთად, მეტად საინტერესო გარემოებაც. კერძოდ ის, რომ მწერლის გმირები არა მარტო მათი თანამედროვე საზოგადოების ტიპურ წევრებად აღიქმებოდნენ, არამედ ზოგიერთ გმირში მკითხველი ხშირად რეალური პიროვნების ანარეკლს ხედავდა.

დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი გიორგი წერეთლის პირველი მხატვრული ნაწარმოების „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ გამოქვეყნებას, რომელიც პირველად 1866-1870 წელს დაიბეჭდა „დროებასა“ და „კრებულში“ „მგზავრის წიგნების“ სათაურით.

ნიკო ნიკოლაძემ „მგზავრის წიგნებს“ მიუძღვნა პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო წერილი „გ. წერეთლის პირველი შრომა“, რომელიც ჟურნალ „მომამბეში“ დაიბეჭდა“ (ქიქოძე, 1963, გვ. 158). აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის წერილი ნაწარმოების ცალკე წიგნად გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა (1894 წ.). თავად ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ „კიკოლიკის, ჩიკოლიკისა და კუდაბზიკას თავგადასავალი“ ნიკო ნიკოლაძისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო. მისი აზრით, კრიტიკა მწერლობას ტონს უნდა აძლევდეს და, ამასთან, საზოგადოებისათვის საჭირო მიმართულებას უსაზღვრავდეს. მართლაც, აღნიშნულ წერილში კარგად არის წარმოჩენილი გიორგი წერეთლის ნაწარმოების დადებითი მხარეები, რაც შეიძლება მწერლობისათვის გარკვეული ტონის მიცემადაც ჩავთვალოთ და, ამასთან, ფაქტობრივად გეზის განსაზღვრავდაც აღვიქვათ, რადგან კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს: „ამ შრომის ბედი, როგორც შინაგანი ღირსება, სწორედ სამაგალითოა ჩვენს მწერლობაში, მომავალი ჩვენი ბელეტრისტებისათვის“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 139-159).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი წერეთლის ნაწარმოებთან დაკავშირებით გამოთქმული ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებათა განხილვისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრიტიკოსი ბრწყინვალედ იცნობდა ევროპულ და რუსულ ლიტერატურას. აი, როგორ მოსწრებულად, ლაკონიურად, მაგრამ საკმაოდ ღრმად და სრულად აფასებს ერთგან დიდ ინგლისელ მწერალს ჩარლზ დიკენსს ნიკო ნიკოლაძე: „მის თხზულებაში თავის ნაცნობების და მეგობრების, ხშირად თავის საკუთარ სახესა ხედავდა მკითხველი, და თანაც იცინის იმათ ბაიბურობაზე, თან უკეთეს ზნესა და საქციელს ეჩვევა“ (ნიკოლაძე, 1960, გვ. 109). ჩვენი აზრით, კრიტიკოსისგან ზოგადად მწერლის შემოქმედებისადმი წაყენებული მოთხოვნების თავისებურ თეზისად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე დიდი ინგლისელი მწერლის უ. თეკერის შემოქმედების დახასიათება: „ამ თხზულებებში სასტიკად გალანძღულია ინგლისელის დიდკაცობა, მისი სიამაყით, სულმდაბლობით და ოსტატურად დამალული გარყვნილებით, მისი ანგარებით და ხალხის დაუზოგველობით“ (ნიკოლაძე, 1960, გვ. 110).

ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ მას საკმაოდ საინტერესო სტრუქტურა აქვს. კრიტიკოსი თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „მთელმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება დამწყები ავტორის ნიჭს. მისი ცხოველი სურათები, იუმორი, მისი ტიპები ყველას მოწონებას იმსახურებდა“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.139).

როგორც ვიცით, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ სიუჟეტური „ქარგა“ იმგვარად ვითარდება, რომ მთავარი გმირები მოგზაურობისას უცნობ ადამიანებს ხვდებიან და მწერალიც სულ სხვადასხვაგვარი ხერხითა და დეტალებით ხედავს პერსონაჟთა სახეებს. მსგავს ტიპებს ცოტა მოგვიანებით ქართველი მკითხველი უკვე დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში გაეცნო. საინტერესოა, რომ ფრიად მრავალრიცხოვან გმირთაგან ნიკო ნიკოლაძემ კუდაბზიკა გამოარჩია, რომლის შინაგანი სამყარო, აზროვნების სტილი და, საერთოდ, მთლიანი ბუნება შესანიშნავად თავსდება ძალიან კოლორიტულ და, ამასთანავე, თბილი იუმორით სავსე სიტყვაში – „კუდაბზიკა“. სწორედ კუდაბზიკა შეიძლება მივიჩნიოთ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა გმირების წინაპრად. მართალია, გიორგი წერეთელი ამ გმირის დახასიათებისას არ ამჟღავნებს იმ შინაგან ნაღვლიან დამოკიდებულებას, რომელიც ასე მკვეთრად იგრძნობა დავით კლდიაშვილთან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუკი კუდაბზიკას სახეს მთლიანობაში გავიაზრებთ, მაშინ ჩვენ წინ საბრალო ადამიანი წარმოდგება, რომელიც სწორედ თავისი კუდაბზიკობით ბადებს სიბრალოლს, რადგან მას პიროვნული არაფერი გააჩნია კუდაბზიკობის გარდა.

ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „მთელს ამ თხზულებაში სრულიად რომ არაფერი ყოფილიყო, გარდა მარტო ერთი კუდაბზიკას აღწერისა, მაშინაც ჩვენს მწერლობაში უკვალოდ არ დარჩებოდა „მგზავრის წიგნები“, ამიტომ რომ კუდაბზიკა – ნამდვილი ტიპია“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.147).

როგორც კრიტიკოსს, ნიკო ნიკოლაძეს მხედველობიდან არ რჩება გმირის სახის შექმნის გიორგი წერეთლის მიერ მოხდენილად გამოყენებული ხერხი, კერძოდ ის, რომ კუდაბზიკას დახასიათება ერთხელ კი არ არის მოცემული როგორც მთლიანი, შეკრული ინფორმაცია, არამედ თითქმის მთელ ნაწარმოებშია გაშლილი (უფრო ზუსტად ნაწარმოების პირველ ნაწილში). კუდაბზიკას სურათი ერთ ადგილას კი არა აქვს ავტორს დახატული, – წერს ნიკო ნიკოლაძე, – „არამედ აქა-იქ, პირველი გვერდიდან უკანასკნელამდინ, ჰპოულობს კაცი თითო-ოროლა სიტყვას, შენიშვნას, ხაზს და როცა (მკითხველი, – მ. ქ.) კითხვას გაათავებს, მას თვალწინ ცოცხლად უდგება მთელი და ცხოველი სურათი ცხოვრებით სავსე ადამიანისა. მისი ხასიათი სწორედ რომ მშვენივრად არის გატარებული მთელ თხზულებაში... სადაც კი გამოჰყავს ავტორს თავისი კუდაბზიკა. ეს უკანასკნელი გამოდის, მოქმედებს და ლაპარაკობს სწორედ ისე, როგორც იმდროინდელი წვრილფეხა აზნაური. ეს მხარე ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა“ სწორედ რომ უნაკლოდ არის დაწერილი... და უეჭვოა, რომ დიდხანს, დიდხანს დარჩება სამაგალითო ნაწარმოებად ჩვენს ბელეტრისტიკაში“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.148). მართლაც, ნიკო ნიკოლაძის პროგნოზი, ფაქტობრივად, გამართლდა – ზოგადად „კუდაბზიკობის“, როგორც მოვლენის, ადამიანის შინაგანი ბუნების, აზროვნების სტილის გამოვლენის ფორმაზე დაყრდნობით დავით კლდიაშვილმა „შემოდგომის აზნაურების“ მთელი გალერეა შექმნა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძემ კარგად აღიქვა კუდაბზიკას, მართლაც უდავოდ ნიჭიერად დახატული კოლორიტული სახე და ამიტომ განსაკუთრებით წარმოაჩინა იგი. „კუდაბზიკობა“, როგორც ზოგადი სახე, როგორც მოვლენა პირველად ნიკო ნიკოლაძემ შენიშნა და ეს მის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღინიშნა, ნიკო ნიკოლაძეს ფართო ერუდიცია და რაფინირებული გემოვნება ჰქონდა იმისათვის, რომ ავი და კარგი გაერჩია, სწორედ ამიტომ იგი პირუთვნელად მიუთითებს გიორგი წერეთლის ნაწარმოების ნაკლოვან მხარეებზეც. განსაკუთრებით უსვამს ხაზს კრიტიკოსი შემდეგ გარემოებას: „თანდათან მხატვარი უფრო და უფრო ხშირად თავისივე კომენდატორად

ხდება. ეს საშინელი ნაკლოვანებაა ხელოვნურ მწერლობაში. ბელეტრისტი, პოეტი მარტო სურათებით უნდა ზემოქმედებდეს მკითხველზე“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.152).

ნიკო ნიკოლაძის აზრით, გიორგი წერეთელი ვერ მოერია ჩიკოლიკისა და კიკოლიკის სახეთა შექმნის ამოცანას. „აქ ავტორს ესაჭიროებოდა უფრო რთული გრძნობის თუ ზნეობის გაჩხრეკა, უფრო მძიმე და ფარული ხასიათის გამოკვლევა“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.152), – აღნიშნავს კრიტიკოსი. მნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან მართლაც ძალიან იშვიათად იგრძნობოდა, რომ ამ ორი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული, თავისებური, თუმცა რამდენადმე დაბალი, მაგრამ მაინც ინტელექტის მქონე გმირთა დახატვისას მწერალს არა აქვს მთელი სიძლიერით გამოყენებული მხატვრული ოსტატობა.

ნიკო ნიკოლაძეს, ბუნებრივია, როგორც მწერლის თანამედროვეს, არ შეეძლო მთელი ძალით შეეგრძნო ნაწარმოების მნიშვნელობა, როგორც მხატვრული ისტორიული მატრიანისა. გიორგი წერეთელი საკმაოდ ადგილს უთმობს ბატონყმობის გადავარდნაზე მსჯელობას. აზნაურ ბაკურასა და კუდაბზიკას საუბარში კარგად არის გადმოცემული რიგითი ადამიანების მოსაზრებანი. კუდაბზიკა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ბატონყმობის გადავარდნის მომხრეა, თავისი აზროვნების ძირითად საწყისსა და მიმართულებას მოულოდნელად ერთ უცბად წარმოთქმულ ფრაზაში ამჟღავნებს: „არა, არა, არა, მაგი არ იქნება, წყალს რავა მევიტან!“ (წერეთელი, 1985, გვ. 229). ჩვენი აზრით, კუდაბზიკას ეს სიტყვები გაცილებით უფრო სრულად იძლევა მის დახასიათებას, ვიდრე მწერალი მისი ბიოგრაფიის ვრცლად და დეტალურად გადმოცემისას შეძლებდა. როგორც მართებულად აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე, „კუდაბზიკას სურათი ერთ ადგილას კი არ აქვს ავტორს დახატული, არამედ აქა-იქ“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 148). ჩვენი აზრით, ეს კუდაბზიკას შინაგანი სამყაროს წარმმართველი, გამხსნელი ფრაზა – „წყალს რავა მევიტან!“ – მისი მსგავსი ტიპების აღსაქმელად მწერლის მიერ მკითხველისათვის მიწოდებულ თავისებურ კოდს წარმოადგენს. ჩიგუნისა, ბაკურის, კუდაბზიკას, ან უკვე გარდასული საუკუნის რიგითი ადამიანების აზრები, ფაქტობრივად, დოკუმენტური სიზუსტით შემოინახა გ. წერეთლის კალამმა და, ამდენად, „მეზავრის წიგნების“ ფურცლებს მკითხველი უკვე მატრიანის ხიბლითაც კითხულობს.

გიორგი წერეთელი მისთვის დამახასიათებელი სადა, მაგრამ ამავე დროს მოულოდნელი ზუსტი შედარებებით შემკული თხრობის სტილით შესანიშნავად გადმოგვცემს კიკოლიკისა და მისი თანამეზავრების დადიანების ყოფილ სასახლეში დაბინავების ამბავს. მწერალი ასე აგვიწერს სასახლეს: „ეს იყო უზარმაზარი ზის სახლი შვიდი განიერი ოთახით. გარშემო ხის ჯვარიანი ხარისხა ერტყა. ორ კუთხეზე ამალღებული სატახტო ადგილი იყო გაკეთებული, როცა სასახლეში ლხინი და მეჯლისი გაიმართებოდა, ამ ამალღებულს ადგილზე ტახტს მოაწყობდნენ და ზედ დასახლდებოდნენ მთავარ-დედოფალი“ (წერეთელი, 1985, გვ. 247).

მწერალი შესანიშნავად აცოცხლებს ძველი სასახლის ცხოვრების სურათს, რომელიც უკვე მისი თანამედროვე მკითხველისთვისაც კი გარდასული ეპოქის ანარეკლი იყო. როგორც ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, გიორგი წერეთელი „ცხოველ სურათს გვიხატავს“ სევდიანი წარსულისას და თან, ამასთან ერთად, ეს სურათი თავისებური მიმზიდველობითაც გამოირჩევა. ამ მიმზიდველობის ძირითადი ძალა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი დადიანების სასახლის ცხოვრებას მათი ერთგული მოხუცი ფარემის სიტყვებით გადმოგვცემს: „სულ ქეიფი, სიმღერა, ლხინი და პატიჟობა იყო გამართული, სადილზე ყოველთვის სამ წყებად დაჯდებოდნენ. ამ აივანს ხომ ხედავთ ბატონო? ამ სიგრძე აივანზე მარტო დიდი თავადები იმდენი დაჯდებოდნენ, რომ ტევა აღარ იყო. აზნაურობას და საპატიო გლეხობასაც კიდო თავისი ადგილი ჰქონდა. როდესაც დადიანი და დედოფალი მაქანა, მაგ ტახტზე იჯდნენ, მაშინ მზეც კი თამაშობდა სიხარულით“ (წერეთელი, 1985, გვ. 248).

დადიანის ფარემის აღწერას ჩვენს მატრიანეებში გადმოცემული დიდი ფეოდალების ღალატის ამბებსაც თუ დავუმატებთ, საქართველოს ერთ დროს ძლიერი ფეოდალური სამეფოს დაცემის ორი მთავარი მიზეზი გამოიკვეთება – უदारდელობა და ორგულობა. შემთხვევითი როდია, რომ

გიორგი წერეთელი, მართლაც, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ასე დეტალურად გადმოგვცემს დადიანების სასახლის ცხოვრების სტილს. იგი ცდილობს მკითხველში ფიქრი და დარდი აღძრას, რადგან სწამს, – როგორც ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, მწერალმა ბუნებიდან მწერლობაში ახალი უცნობი ხასიათები უნდა გადმოიღოს და რაც უცნობი და შესამჩნევი იქნება, იგი უნდა ხატოს. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც თავად მწერლის მიერ გაკეთებული შენიშვნა მეტყველებს, არა მარტო დადიანების ლანდად ქცეული ფარეში, არამედ დიდი სასახლეც არ დაუნდვია დროთა ბრუნვას და ცეცხლის ალს დაუნთქავს.

ნიკო ნიკოლაძე თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ მეორე ნაწილი, რომელსაც თავდაპირველად სათაურად „კიკოლიკის ცხოვრება“ ჰქონდა, საერთოდ არ განეკუთვნება ბელეტრისტიკას. „ამ ნაწილს, – წერს ნიკო ნიკოლაძე, ბელეტრისტიკის ნაწარმოებს ვერავინ უწოდებს. იგი წარმოადგენს გაჭიანურებულ დავას ავტორსა და კიკოლას შუა. ამგვარი თხზულების გარჩევა შეიძლება მორალისტმა იკისროს, ან პუბლიცისტმა, მარტო იმის გამოსაკვლევად, თუ ვინ სტყუის და ვინ მართალია ამ ბაასში...“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 153). მართლაც, თუ დავუკვირდებით, აშკარად დავინახავთ, რომ მოთხრობის მეორე ნაწილში ავტორი ცდილობს მკითხველს კიკოლიკური აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში აჩვენოს და დაანახოს, რომ ასეთი პირების მოღვაწეობის მიზანს საკუთარი პირადი ინტერესების დაკმაყოფილება შეადგენს, თუმცა ამ ძირითად მიზანს ოსტატურად ნიღბავენ ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე უარყოფითად აფასებს ნაწარმოების მეორე ნაწილს, მაინც შენიშნავს, რომ კიკოლიკისა და ავტორის საუბარში „ბევრი ჭკვიანური რამ არის ნათქვამი, ორივე მხრით“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 156) ჩვენი აზრით, კრიტიკოსი მეორე ნაწილის ძირითადად დადებით მომენტად პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლების წლების მოგონებებს გულისხმობს, რადგან სწორედ ამ მოგონებათა ფონზე იშლება ავტორისა და კიკოლიკის მსჯელობანი. თავად ნიკოლაძის თქმით: „გიორგი წერეთლის ბუნებრივი ნიჭი ყველაზე მეტად უფრო მძლავრად და საღად მარტო პირველ მის ახალგაზრდობაში, თითქმის მარტო ჩვილ სიყმაწვილეში გაზრდილა შთაბეჭდილებებით და გამდიდრებულა“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 150).

უნივერსიტეტში მიღებული შთაბეჭდილებები რომ მართლაც განსაკუთრებით მძლავრად აღიბეჭდა როგორც გიორგი წერეთლის, ასევე ნიკო ნიკოლაძის მეხსიერებაში, ამაზე ის დიდი მსგავსებაც მეტყველებს, გიორგი წერეთლის მოთხრობაში აღწერილი მოვლენები რომ ამჟღავნებდნენ ნიკო ნიკოლაძის მოგონებებთან. პოლონელი სტუდენტის მგზნებარე საუბრები, ქართველთა დიდი ინტერესი ევროპის ისტორიისადმი, ჯუზეპე გარიბალდის პიროვნებით აღფრთოვანება, დაბოლოს, თავად კიკოლიკის სახეც, როგორც გიორგი წერეთლის მოთხრობის მეორე ნაწილის, ასევე, ნიკო ნიკოლაძის მოგონებების მთავარ მომენტებს შეადგენენ.

საინტერესოა, რომ ნიკო ნიკოლაძის წერილს ჟურნალ „კვალში“ გამოეხმაურა პ. პეტრიძე (ჟორდანია, 1920, გვ. 21), რომელმაც საკმაოდ დაწვრილებით განიხილა იგი. ოპონენტი უარყოფითად აფასებდა გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტის ნააზრევს, რადგან მიაჩნია, რომ ნიკო ნიკოლაძემ გიორგი წერეთლის შემოქმედება მხოლოდ კუთხური თვისებების წარმოჩენით შეაფასა. პ. პეტრიძე, ჩვენი აზრით, თავად საკმაოდ საყურადღებოდ განიხილავს კუდაბზიკას სახეს და ამიტომ საჭიროდ ვცანით მის წერილზეც შეგვეჩერებინა ყურადღება. იგი აღნიშნავს, „ჩვენი აზრით, გ. წერეთელი გვიხატავს კუდაბზიკას, არა როგორც რასიულ ტიპს (იგულისხმებს ტომობრივობა, მ.ქ.), არამედ როგორც სოციოლოგიურ ტიპს, რომელიც შეიძლება მოიპოვებდეს მთელ საქართველოში და არა მარტო ერთ კუთხეში“ (პეტრიძე, 1894, გვ. 15), შემდეგ პ. პეტრიძე განიხილავს ბაკურასა და კუდაბზიკას სახეებს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ეს ორი პირი წარმომადგენელია მაშინდელი მიმდინარეობისა: ძველებურის, ბატონყმურის (ბაკურა) და ახლის, ჩინოვნიკურის (კუდაბზიკა). აი, ამ მხრივ არიან საინტერესო ეს ტიპები და არა მათი სიფიცხით, თუ სხვა რასიული თვისებებით“ (პეტრიძე, 1894, გვ. 15).

პ. პეტრიძეს მიაჩნია, რომ ბახვა ფულავა და მოსე მწერალი კუდაბზიკას შთამომავალნი არიან. ვფიქრობთ, მოსე მწერალი მართლაც შეიძლება კუდაბზიკას მივამსგავსოთ, ხოლო რაც შეეხება ბახვა ფულავას, ჩვენი აზრით, იგი არაფრით ჰგავს კუდაბზიკას.

უმართებულო არ იქნება, თუ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე ერთგვარად იწუნებდა კიკოლიკისა და ჩიკოლიკის სახეებს, სადღესოდ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ორივე ძალიან სიცოცხლისუნარიანი და იმ დროსა და გარემოში შეგუებული ტიპები აღმოჩნდნენ.

კიკოლიკი, ანუ მარტოხელა, თავის თავზე შეყვარებული კაცი – კიკო ანუ ტუზი, დღესაც მშვენივრად ახერხებს თავის გატანას. ჩიკოლიკი კი მოუსვენარი ჩიკორი-ბზორიალა ახლაც კარგად უძღვება რტულ ურთიერთობებს – სტატიების გაზეპირებული სათაურებითა და ჭორაობით (წერეთელი, 1985, გვ. 341), თუმცა თავად გიორგი წერეთლის თქმით, „ეს ხომ ქართველის თვისებაა, დღეში ერთი მაინც რომ არ მოვაჭოროთ, ისე როგორ გავძლებთ“ (წერეთელი, 1985, გვ. 190). ამასთან, თავად სახელთა ჟღერის მსგავსებით, ჩვენი აზრით, მწერალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კიკოლიკი და ჩიკოლიკი, ფაქტობრივად, ერთი ტიპის ოდნავ განსხვავებული ორი ანარეკლია და კიკოლიკებს მხოლოდ აქ შეუძლიათ იმეფონ და საკუთარ ხალხს აძრონ ტყავი, სადაც ჩიკოლიკის მსგავსი „შარლატანი“ (წერეთელი, 1985, გვ. 340)... და „კუდაბზიკები“ გამოჩნდებიან თანამგზავრებად.

### **დასკვნის სახით:**

როგორც დავინახეთ, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი ნიკო ნიკოლაძე მართლა შედარებით ლაკონიურ, მაგრამ სერიოზულსა და ობიექტურ შეფასებას აძლევს გიორგი წერეთლის შემოქმედებას, რომელიც მის თანამედროვეთა შორის ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოშობდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი წერეთლის თანამედროვე კრიტიკოსთა შორის ყველაზე უფრო რეალურ და ობიექტურ დასკვნას სწორედ ნიკო ნიკოლაძე იძლევა და, ამასთან, მისი მოსაზრებები ძალიან ახლო დგას გიორგი წერეთლის მეორე დიდი თანამედროვის აკაკი წერეთლის ნააზრევთან.

აკაკი გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ მის (გ. წერეთლის, – მ. ქ.) შემოქმედებას „ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვის... იმის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ ისე გამოარჩიონ რამდენიმე ოქროს მარცვალი“ (წერეთელი, 1968, გვ. 110).

სწორედ ასეთ „ოქროს მარცვლად“ აღიქვა ნიკო ნიკოლაძემ კუდაბზიკას მართლაც უდავოდ ნიჭიერად დახატული სახე და ამიტომ განსაკუთრებით წარმოაჩინა იგი. როგორც ითქვა, „კუდაბზიკობა“, როგორც ზოგადი სახე, როგორც მოვლენა, პირველად გიორგი წერეთელმა შექმნა და ეს მის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ნიკოლაძე ნ. გ. (1894). წერეთლის პირველი შრომა, „მომამბე“, 3, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1960). თხზულებანი, ტ. II, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1960). კრიტიკა და მისი მნიშვნელობა, თხზულებანი, ტ. II, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1960). ჩარლზ დიკენსი და უილიამ თექერეი. თხზულებანი, ტ. I, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1962). მთავრობა და ახალთაობა, თხზულებანი, ტ. I, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1975). ცხოვრების დიდ გზაზე, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1984). მოგონებები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- პეტრიძე პ. (1894). მოამბის პუბლიცისტიკა (3 და 4). „კვალი“, 24, თბილისი.
- ჟორდანიას ნ. (1920). თხზულებანი, ტ. II, თბილისი.

ქიქოძე გ. (1963). რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბილისი.

წერეთელი გ. (1985). „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, ქართული პროზა, ტ. X, თბილისი.

წერეთელი ავ. (1968). გიორგი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი.

#### References:

Jordania, N. (1920). Tkhzulebani. T. II. [Literary Works. Vol. II]. Tbilisi.

Nik'oladze, N. G. (1894). Ts'eretlis p'irveli shroma. [Tsereteli's First Work]. „Moambe, 3, Tbilisi.

Nik'oladze, N. (1960). Tkhzulebani. T'. II. [Literary Works, Volume II]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1960). K'rit'ik'a da misi mnishvneloba. Tkhzulebani. T'. II. [Criticism and its Meaning. Literary Works. Vol. II]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1960). Charlz Dik'ensi da Uiliam Tek'erei. Tkhzulebani. T'. I, [Charles Dickens and William Thackeray. Literary Works, Vol. I]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1962). Mtavroba da akhaltaoba. Tkhzulebani. T'. I. [Government and New Generation, Literary Works, Vol. I]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1975). Tskhovrebis did gzaze. [On the great road of life]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1984). Mogonebebi. [Memories]. Tbilisi: tsu gamomcemloba.

P'et'ridze, P. (1894). Moambis p'ublitsistika (3 da 4). „K'vali“, 24. [Publicistics of Moambe (3 and 4)]. "Kvali", 24. Tbilisi.

Kikodze, G. (1963). Rcheuli Tkhzulebani. T. I. [Selected Works, Vol. I]. Tbilisi.

Ts'ereteli, G. (1985). „K'ik'olik'i, chik'olik'i da k'udabzik'a“. Kartuli p'roza. T'. X. [“Kikolik, Chikolik and Kudabzika”. Georgian Prose. Vol. X]. Tbilisi.

Ts'ereteli, A. (1968). Giorgi Ts'ereteli. Tkhzulebani. Sruli k'rebuli tkhutmet' t'omad. T'. VII. [Giorgi Tsereteli. Complete Works in fifteen volumes. Vol. VII]. Tbilisi.